განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სპეციალური განათლება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

26.10.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
30.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სპეციალური განათლება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სპეციალური განათლების მაგისტრი 030109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა გრძელიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან ბოჭორიშვილი (დამსაქმებელი ექსპერტი) -
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამუნა იმნაძე (სტუდენტ-ექსპერტი) -

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

✦ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ თავდაპირველად შემუშავდა 2013 წელს და აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №142 10.15.2013 გადაწყვეტილებით.

პროგრამის მოცულობა თავდაპირველად წარმოადგენდა 132 კრედიტს, პროგრამის რეაკრედიტაციის ეტაპზე, აღნიშნული მოცულობა შემცირდა 120 კრედიტამდე, რაც ამოქმედების შემთხვევაში პროგრამას რეალურად უფრო მოთხოვნადს გახდის.

სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს სპეც.განათლების სპეციალისტების ქვეყანაში არსებულ დეფიციტის შევსებას და ამ მიზნით ამზადებს კადრს, რომელსაც შეუძლია მრავალფეროვანი, დისციპლინათაშორისი თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის მართვა და გარემოს მოწყობა სსსმ და შშმ პიროვნებისა და ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულს ხელს უწყობს პროგრამის თანამშრომლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტთან და პარტნიორ საჯარო სკოლებთან, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება, უშუალოდ თავისი გამოცდილება დააფუძნოს პრაქტიკის სფეროში არსებულ საჭიროებებს.

სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ განახლდა 2018 წელს რეაკრედიტაციის მიზნით და განსხვავებული სასწავლო გეგმით იქნა წარმოდგენილი. პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტების წილი, რაც კვალიფიციური კადრის მომზადების წინაპირობაა. ასევე, მნიშვნელოვნად გაძლიერდა კვლევითი კომპონენტი, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს შექმნან ღირებული კვლევის პროდუქტები, სწავლა გააგრძელონ მომდევნო საფეხურზე და წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპეციალური განათლების დარგის ექსპერტები, პროფილური ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები, რაც კურსდამთავრებულების მიერ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან ადეკვატური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების გარანტიაა.

✦ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამაზე „სპეციალური განათლება“ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26 ოქტომბერს. ვიზიტის განხორციელებამდე რამდენიმე კვირით ადრე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, 25 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები: ირმა გრძელიძე, ლილი ხეჩუაშვილი, რუსუდან ბოჭორიშვილი, თამუნა იმნაძე.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განმავლობაში დაათვალიერა სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ✦ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ სრულად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

✦ რეკომენდაციები

✦ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
✦ მიღების წინაპირობა B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა რეალურად ამ დონისთვის მოთხოვნილი კრიტერიუმებისა და კომპონენტების მიხედვით შემოწმდეს;
✦ განისაზღვროს, რომელ სფეროებსა და დარგებში მიღებული საბაკალავრო განათლების მქონე პირები დაიშვებიან პროგრამაზე.
✦ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
✦ სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ცვლილებების შეტანის პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია ღიაა უკუკავშირის მიმართ, რაც განაპირობებს დაინტერესებული მხარეების მაღალი ხარისხით თანამშრომლობას, რასაც თან სდევს პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობის გაუმჯობესება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

✦ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის არსებული/მიმდინარე ვერსიისგან განსხვავებით, ამჯერად აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც

მიღებულ გამოცდილებას, განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების უკუკავშირიდან მიღებულ მონაცემებსა და რეკომენდაციებს ეფუძნება. კერძოდ:

- სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და მართვის ბლოკი, რომელიც 60 კრედიტს შეადგენდა, მოდიფიცირდა 48 კრედიტიან ბლოკად;
- (ა) გაძლიერდა კვლევის კომპონენტი: შეიქმნა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციის განვითარებაზე; (ბ) დაემატა კურსები: სამაგისტრო სემინარი, სტატისტიკა და აკადემიური წერა; (გ) გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი: შეიქმნა პრაქტიკის დამოუკიდებული კურსი და პროგრამას დაემატა კურსებში თემატურად ჩაშენებული პრაქტიკული მუშაობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ მიზნები (მოამზადოს სპეციალური განათლების სპეციალისტი, რომელიც მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის მართვასა და გარემოს მოწყობას პიროვნებისა და ჯგუფის საჭიროების შესაბამისად; მიმართულია სტუდენტებში კომპლექსური თეორიული ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფაზე; პრიორიტეტია სტუდენტებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პიროვნებისა და ჯგუფის განათლების ეფექტური სტრატეგიების სწავლება და სპეციალური და ინკლუზიური განათლების კვლევა) სრულად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია ფართო საზოგადოების ჩართულობით. მისი შექმნა განაპირობა შესაბამის დარგში არსებულმა სპეციალისტების დეფიციტმა. პროგრამა შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დარგის ექსპერტების, შესაბამისი პროფილის ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით. სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ სწავლის რეალური შედეგია, კურსდამთავრებული დასაქმდეს სპეციალური მასწავლებლის, კონსულტანტის, ტრენერის, კოორდიანტორის და სხვა მსგავს პოზიციებზე საჯარო, არასამთავრობო, კერძო დაწესებულებებში, კერძოდ, • ზოგადსაგანმანათლებლო (მათ შორის სპეციალიზირებული პროფილის), სკოლამდელი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; • სოციალური და დასაქმების მომსახურების მიმწოდებული დაწესებულება (აბილიტაცია/რეაბილიტაცია, დღის ცენტრი, ბავშვთა ადრეული განვითარება და სხვა); • არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება. ასევე, კურსდამთავრებულს შეეძლება ჩაატაროს კვლევა ზემოაღნიშნული კონკრეტული მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ღირებული კვლევის პროდუქტების შექმნა და კვლევისა და სწავლების ინტეგრირება.
აღნიშნულ პროგრამას წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამაზე მომუშავე პერსონალი კარგად იცნობს შრომის ბაზარზე არსებულ დეფიციტს კონკრეტულ დარგში: თუ როგორი მოთხოვნაა ქვეყნის დედაქალაქსა თუ რეგიონებში სპეციალური მასწავლებლების კადრზე. სწორედ ამიტომაც, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ეგიდით თანამშრომლობს როგორც თბილისის, ისე რეგიონულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცდილობს, აღნიშნული დეფიციტი შეავსოს პროგრამის კურსდამთავრებულებით. ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ატარებს ტრენინგებსა თუ სხვა სახის სასერტიფიკაციო კურსებს, უწევს კონსულტაციებს საზოგადოების წევრებს შესაბამისი მიმართულებებით. სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ეფუძნება ერთიანობის სამ პრინციპს: ა) კვლევისა და სწავლების ერთიანობა; ბ) ზოგადი განათლებისა და სპეციალიზაციის ერთიანობა; გ) უნივერსალურისა და ლოკალურის ერთიანობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • ევროკავშირი საქართველოსთვის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა „სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები“ (2018); • სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ (2016); • თანამშრომლობის მემორანდუმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ○ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, კერძოდ: კურსდამთავრებულს შეუძლია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და დაგეგმოს, მართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, მიიღოს მტკიცებულებებზე და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები; აღმოაჩინოს პრობლემური საკითხები და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით იყოს ამ პრობლემათა გადაჭრის გზების ინიციატორი; მოიძიოს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსები, დაამუშაოს ისინი და განაახლოს/განავითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები; თავის საქმიანობაში იყოს ეთიკური და სსსმ და შშმ პირების განათლების პროცესში იყენებდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერმინოლოგიას და ა.შ. სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ თავისი შინაარსით ითვალისწინებს კურსდამთავრებულისთვის ყველა იმ უნარისა თუ კომპეტენციის გამომუშავებას, რომელიც გათვალისწინებულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა ინტეგრირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ თეორიულ საკითხებთან და ხორციელდება თეორიის პარალელურად. ცალკეულ კურსში ჩაშენებული პრაქტიკის მოცულობა 2 ან 1 კრედიტია. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გარდა, პროგრამის ბოლო სემესტრში შეთავაზებულია ასევე პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი, რომლის მოცულობაც 6 კრედიტია. ჯამში პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს 26 კრედიტს. პრაქტიკის ამ სახითა და ოდენობით შექმნამ განაპირობა კონკრეტული უნარების გამომუშავების გაძლიერებული შესაძლებლობები. უნივერსიტეტი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სტუდენტებს სთავაზობს რიგი კომპეტენციების გაძლიერებას, რაც მნიშვნელოვანია კურსების უკეთ დასაძლევად. აღნიშნული მიზნით, სტუდენტს შეუძლია დაესწროს მისთვის სასურველ კურსს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. აღნიშნული უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო დონეზე, სტუდენტები და საბაკალავრო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირებულია მსგავს შესაძლებლობაზე.

პროგრამა არ ითვალისწინებს ვიწრო სპეციალიზაციას. თუმცა სამაგისტრო პროგრამის გუნდი აცხადებს, რომ განახლებული კვალიფიკაციათა ჩარჩო შესაძლებლობას მიცემს მათ, შეიმუშაონ ახალი სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კონკრეტული მიმართულებებით, მაგალითად: მხედველობის დარღვევის მქონე პირთა განათლება, სმენის დარღვევების მქონე პირთა განათლება, სწავლის უნარის დარღვევის მქონე პირთა განათლება და ა.შ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფიქრობს, რომ მსგავსი პროგრამების შემუშავება მოხდება არა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, არამედ თანამშრომლობის შედეგად ჩართულნი იქნებიან

ქვეყნის მასშტაბით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დარგისა და საზოგადოების განვითარებას. პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი მუდმივი პროცესია. არსებობს პორტფოლიო, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების შეჯამებასა და შეფასებას. სტუდენტი პროგრამის ბოლოს წარმოადგენს აღნიშნულ პორტფოლიოს და იღებს განმავითარებელ უკუკავშირს დასკვნის სახით. პორტფოლიო ფაქტობრივად არის რეალური მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ შეძლო სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, მაგალითად: სტუდენტებს შეუძლიათ საბაკალავრო სასწავლო კურსების გავლა აღდგენითი კურსის ფარგლებში, რა დროსაც მათ კრედიტი არ ენიჭებათ. სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ კურსდამთავრებულს საჭირო კომპეტენციებს უვითარებს კომპლექსურად: როგორც პრაქტიკულ, ასევე კვლევით უნარებს სტუდენტი ეუფლება ინტენსიურად. პროგრამის სწავლის შედეგებს ავითარებს არა კონკრეტული სასწავლო კურსი ცალკეულად, არამედ ყოველი მათგანი კუმულაციურად. პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება დაგეგმილად, სისტემურად. ამ პროცესებს არ აქვს სპონტანური ხასიათი, რასაც ადასტურებს როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები გასაუბრებისას. ცვლილებები ხდება მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით და ისინი ეხება, როგორც ცალკეული კურსების, ისე მთლიანად პროგრამის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკა; • პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კვლევა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება	ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სწავლის მსურველებს რამდენიმე დაშვების წინაპირობის შესრულება მოეთხოვებათ: მათ ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ საერთო სამაგისტრო გამოცდები, უნდა გაიარონ შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა და, ასევე, უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას B2 დონეზე, რომლის კომპეტენციასაც აპლიკანტებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის მეშვეობით უმოწმებენ. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბარში ითქვა, აპლიკანტის პროგრამაზე მიღების წამყვან კრიტერიუმს მისი მოტივაცია წარმოადგენს. შესაბამისად, გასაუბრებისას

(ზეპირი გამოცდა), უპირატესად, ისეთ მოტივაციაზე მახვილდება ყურადღება, როგორიცაა პირადი მოტივაცია, მუშაობის უკვე არსებული გამოცდილება, დახმარების სურვილი.

პროგრამაზე მიღების პირობები და სხვა თანმდევი რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამაზე მიღების პირობები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

გარდა ამისა, ყველა სხვა პროგრამის მსგავსად, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით არსებობს საინფორმაციო ბუკლეტები პროგრამის პოტენციური აპლიკანტებისათვის და, ასევე, ახდენს დაინტერესებულ პირებთან და პროგრამაზე სწავლის მსურველებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას თბილისსა და რეგიონებში. ამასთან, პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად დაგეგმილია სასკოლო მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შეთავაზებული ისეთი აქტივობების გამოყენება, როგორიცაა სკოლის დირექტორებთან და მასწავლებლებთან სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრები და თემატური ტრეინინგები.

როგორც ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან საუბარში გაირკვა, გარკვეულ უხერხულობას ბადებდა მიღების წინაპირობები, კერძოდ: (ა) ვინაიდან ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია პროგრამაზე სწავლის სურვილის გამოთქმა, პრაქტიკულად შესაძლებელია, რომ აპლიკანტი პროგრამაზე მივიდეს იურისტის, ეკონომისტი ან მათემატიკოსის საბაკალავრო განათლებით, რაც სრულიად გამორიცხავს სოციალურ მეცნიერებებში ბაზისური ცოდნის ქონას. ეს კი ამცირებს პროგრამის დაძლევის შანსებს. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბარში გაირკვა, ძირითადი შერჩევის კრიტერიუმი მაინც მოტივაციაა (B2 დონის ინგლისურის მოთხოვნასთან ერთად), ამიტომ არ ზღუდავენ პოტენციურ აპლიკანტებს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება B2 დონის ინგლისურის მოთხოვნას, მართალია, აპლიკანტები წარმატებით აბარებენ გამოცდას, მაგრამ სტუდენტებს მაინც უჭირთ იმ რაოდენობისა და სირთულის პროფესიული ლიტერატურის დამუშავება, რომელიც მათ პროგრამის ფარგლებში შეეთავაზებათ. როგორც ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, ინგლისური ენის გამოცდა ტექსტის წაკითხვას, გააზრებასა და თარგმანს მოიცავს, რაც რეალურად მხოლოდ მიახლოებულად აფასებს აპლიკანტის ენობრივ კომპეტენციას. ყოველივე ზემოთ თქმული ქვემოთ წარმოდგენილი რჩევების საფუძველი გახდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდი;
- საინფორმაციო ბუკლეტები;

• პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • მიღების წინაპირობა B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა რეალურად ამ დონისთვის მოთხოვნილი კრიტერიუმებისა და კომპონენტების მიხედვით შემოწმდეს; • განისაზღვროს, რომელ სფეროებსა და დარგებში მიღებული საბაკალავრო განათლების მქონე პირები დაიშვებიან პროგრამაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებთან.

მოცემული პროგრამა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, სპეციალური მასწავლებლისათვის აუცილებელი საბაზისო ცოდნისა და უნარების და კვლევაზე დაფუძნებით ფუნდამენტური ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას და, მეორე მხრივ, კვლევის

შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზსა და მათზე დაყრდნობით პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და იძლევა სპეციალური განათლების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისათვის. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ასევე, გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები, რომელიც პროგრამას უხსნის ბაკალავრის (განურჩევლად დარგისა) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. ეს წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის (ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ბლოკი შეადგენს 48 კრედიტს, (ბ) სპეციალიზაციის ბლოკი -- 42 კრედიტს და (გ) სამაგისტრო ნაშრომის ბლოკი -- 30 კრედიტს. პროგრამის შინაარსი სრულად თანხვდება სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი, კერძოდ, სპეციალიზაციის ბლოკში შემავალი კურსების არჩევამდე სტუდენტი პირველივე სემესტრში იწყებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ბლოკში შემავალი კურსების გავლას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში სპეციალური მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ამ ბლოკში შემავალი კურსები და შესაბამისი სწავლის შედეგები სტუდენტს ამზადებს სპეციალიზაციის კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად. სპეციალიზაციის ბლოკში გაერთიანებული კურსები ამზადებს სტუდენტებს სხავადასხვა ტიპის დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებისა და შეფასებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალი ზოგიერთ კურსს აქვს დაშვების წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ დაგროვებასა და ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ და საბაზისოდან ფართოსაკენ განვითარებას. ამასთან, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმაოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბლოკში შემავალი კურსები მოიცავენ ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ადგილზევე უზრუნველყოფს კურსის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის ოპერაციონალიზაციასა და პრატიკაში გამოყენების უნარების განვითარებას.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, პროგრამის III და IV სემესტრებში სტუდენტები კვლევით პროექტზე მუშაობენ და პროგრამის დასრულებამდე წარმოადგენენ სამაგისტრო/კვლევით ნაშრომს. ამასთან, სტუდენტი პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების დემონსტრირებას ახდენს შემაჯამებელი პორტფოლიოსა და სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.

პროგრამის შემუშავებისა და მისი განხორციელების ჯგუფში აქტიურად არიან ჩართულები პოტენციური დამსაქმებლები (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი მიმართულების დეპარტამენტის თანამშრომლები, ბავშვის განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ასევე სპეციალური და ინკლუზიური განათლების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები). შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია მათი მოსაზრებები და, ასევე, სკოლების (პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების), სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის კვლევის შედეგები. სწორედ ამ უკუკავშირის შედეგი იყო, როგორც მრავალგზის აღინიშნა ვიზიტის მსვლელობისას, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკის მოცულობა (კურსებში ჩაშენებული, თეორიასთან ინტეგრირებული პრაქტიკა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი). პრაქტიკის კომპონენტი ჯამში 26 კრედიტს შეადგენს და გადანაწილებულია სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო სემესტრზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მაგალითად, ლექტორების მიერ შექმნილი „ჰენდაუთები“) დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; • პროგრამა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სემესტრული გეგმა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის დოკუმენტი; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოში ინკლუზიური განათლების პრაქტიკის კვლევის შედეგები; • სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სპეციალური მასწავლებლის გამოწვევების კვლევის შედეგები;

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სწავლით კმაყოფილების კვლევის შედეგები;

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა დასაქმების კვლევის შედეგები; • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ გაუმჯობესების კვლევა; • შეხვედრების ოქმები; • პროგრამის გარე შეფასების შედეგები; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი; • პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის არსებული/მიმდინარე ვერსიისგან განსხვავებით, ამჯერად აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მიღებულ გამოცდილებას, განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების უკუკავშირიდან მიღებულ მონაცემებსა და რეკომენდაციებს ეფუძნება. კერძოდ: ○ სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და მართვის ბლოკი, რომელიც 60 კრედიტს შეადგენდა, მოდიფიცირდა 48 კრედიტიან ბლოკად; ○ (ა) გაძლიერდა კვლევის კომპონენტი: შეიქმნა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციის განვითარებაზე; (ბ) დაემატა კურსები: სამაგისტრო სემინარი, სტატისტიკა და აკადემიური წერა; (გ) გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი: შეიქმნა პრაქტიკის დამოუკიდებული კურსი და პროგრამას დაემატა კურსებში თემატურად ჩაშენებული პრაქტიკული მუშაობა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
○ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ○ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი. სწავლის შედეგების რუკა თითოეული კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ინსტრუმენტია და თან ახლავს პროგრამას. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 6 ან 3 კრედიტს შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, მასში ჩაშენებული პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. საათების განაწილების ეფექტურობის შესაფასებლად ყოველი კურსის დასრულების შემდეგ ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, რომელშიც მოცემულია კითხვები დატვირთვის ადეკვატურობის შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. გარდა ამისა, კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება სპეციალური განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და თანდართული სწავლის შედეგების რუკა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • ბიბლიოთეკის დათვალიერება ადგილზე და ბიბლიოთეკარებთან გასაუბრება; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"; • უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (http://moodle.iliauni.edu.ge) • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი; • კურსების შეფასების კითხვარი; • პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკის კომპონენტი მნიშვნელოვნად მოდიფიცირდა და დაიხვეწა წარმოდგენილ პროგრამაში წლების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებასა და სხვადასხვა წყაროდან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით. წარმოდგენილ პროგრამას პრაქტიკის კომპონენტი (სულ 26 კრედიტი) გამჭოლად გასდევს, რაც გულისხმობს კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკას და სტუდენტების პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვას პირველივე სემესტრიდან. შესაბამისად, სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი ორი ფორმატით არის წარმოდგენილი და განხორციელებული: (1) კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა 20 კრედიტის მოცულობით და (2) პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი 6 კრედიტის მოცულობით.

კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და მოცემული კურსის ფარგლებში შეთავაზებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე ახდენს ფოკუსირებას. რაც შეეხება დამოუკიდებელ კურსს, ის კრავს და ამთლიანებს თეორიული კურსებისა და ჩაშენებული პრაქტიკის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და უნარებს. აღნიშნული კურსი სტუდენტებს დამამთავრებელ, მეოთხე სემესტრში შეეთავაზებათ.

წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში ჩაშენებული პრაქტიკა ორი ფორმატით ხორციელდება. ესენია სასემინარო/სააუდიტორიო პრაქტიკა და სასკოლო პრაქტიკა. პრაქტიკული სემინარები აუდიტორიაში მიმდინარეობს ლექტორ(ებ)ის ხელმძღვანელობით და ქეისების განხილვას, შემთხვევის ანალიზს, შეფასებას და ა.შ. აქტივობებს გულისხმობს, სასკოლო პრაქტიკა კი, ხორცილდება სკოლაში პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მოიაზრებს რეალურ შემთხვევებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო აქტივობებს.

პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და პროცედურები, ასევე, ანგარიშგების, და შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები დეტალურად არის გაწერილი კურსის სილაბუს(ებ)ში. პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ჩართულები არიან მეცნირებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამების პრაქტიკის კოორდინატორი, შესაბამისი კურსის ლექტორი, განათლების სკოლის საბჭო და პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებელი. პრაქტიკის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით, რომელიც არის პრაქტიკის დოკუმენტის და სილაბუსების შემადგენელი ნაწილი.

რას შეეხება სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას, ამისათვის პროგრამაში წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობის მქონე კვლევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს კურსებს (მესამე სემესტრიდან), კვლევით სემინარსა და საკუთრივ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი კვლევითი ტრანსფერული უნარების შემუშავება/განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის დოკუმენტი; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა სწავლით კმაყოფილების კვლევის შედეგები; • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ გაუმჯობესების კვლევა; • შეხვედრების ოქმები; • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები; • პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან ინტერვიუები; • სამაგისტრო ნაშრომების გაცნობა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური

მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, კოგნიტური დიაგრამებით სწავლება, უკუკავშირის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკაზე დაკვირვება; ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი კურსები ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლის მიდგომებზე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდის შესაძლებლობასა და შესრულებულ აქტივობებზე რეფლექსიაზე. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, ასევე, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებას და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებთ, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი -- „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა". ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და მასში კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის კონცეფცია; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა სწავლით კმაყოფილების კვლევის შედეგები; • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება" გაუმჯობესების კვლევა;

• სტუდენტების სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში და სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი; • არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა; ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

თითოეული სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება და თითოეულისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დასკვნით გამოცდისათვის არ აღმატება განსაზღვრული ქულების 60%-ს). ესენია შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს,

საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია.

სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე თითოეული კომპონენტის (სპეციალობის, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების) ფარგლებში.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე (და ასევე, აღწერილია სილაბუსებში).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დამატებით ინსტრუმენტად, შეფასების რეალისტურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით, გამოიყენება შემაჯამებელი პორტფოლიო და ეს პროგრამის დასრულებისათვის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს. პორტფოლიოს მიზანია წარმატებული სპეციალური მასწავლებლის საქმიანობისთვის აუცილებელი იმ კომპეტენციების შეჯამება და შეფასება, რომელთა განვითარებაც მოხდა სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება" ფარგლებში.

პროგრამის დასრულებისას სტუდენტი, თვითშეფასების საფუძველზე, შემაჯამებელ პორტფოლიოსთვის არჩევს სხვადასხვა კურსის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ ნაშრომებს, რომლებიც შესაბამისი კურსის ლექტორ(ებ)ის მიერ უკვე შეფასებულია. სტუდენტის მიერ შემაჯამებელი პორტფოლიოსათვის შერჩეული მტკიცებულებების მეორად შეფასებას ახორციელებს შემაჯამებელი პორტფოლიოს შეფასებისთვის სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც სტუდენტს აწვდის წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს წარმოდგენილ ნაშრომებთან დაკავშირებით. პორტფოლიოს ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამის კომპეტენციებთან შესაბამისობის შემთხვევაში სტუდენტი ფასდება "ჩათვლით".

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით. კერძოდ, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს კურსის ხელმძღვანელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებელი (სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში), სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ნაშრომის დაცვის კომისია. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდების გამოყენებაც დამკვიდრებული პრაქტიკაა, კერძოდ სტუდენტთა ან სტუდენტთა ჯგუფების ურთიერთშეფასება, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლისა და სტუდენტების ურთიერთშეფასება, რეფლექსია შესრულებული დავალების შესახებ. შეფასების აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას მათ მიერ შესრულებული დავალების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიმართულია სტუდენტის სწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას კურიკულუმის ექსპერტებისა და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ. როგორც ვიზიტის დროს არაერთხელ აღინიშნა (და თვითშეფასების ანგარიშშიც დეტალურად არის გაწერილი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იგეგმება პერსონალის სისტემური პროფესიული განვითარების მოდულის შემუშავება, რა მიზნითაც უნივერსიტეტი ჩაერთო Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის სამ პროექტში, რომელთა ფარგლებშიც დაგეგმილია (ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მიზნით სტუდენტების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით ტრეინინგ მოდულების შემუშავებას და დანერგვას; (ბ) აკადემიური პერსონალის გადამზადება და შეფასების ახლებური მექანიზმების ჩაშენება სასწავლო პროგრამებში და (3) აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურულ გაძლიერება და ინოვაციური მასწავლებელთა ტრეინინგ-პროგრამების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნულ პროგრამებში უკვე გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელისა და მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა. სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება უნივერსიტეტში და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაზე, რეგულირდება უწყვეტი შეფასების შიდა მექანიზმებით. სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კუსრდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები), ანალიზი ყოველწლიურად განხორციელდება უნივერსიტეტში, რაც მიზნად ისახავს პროგრამის გასაუმჯობესებლად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის დოკუმენტი; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი. • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები და შედეგები • პროგრამის ხელძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად შესაბამის ინფორმაციას და კონსულტაციას აკადემიური პერსონალისგან იღებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "არგუსისგან", რომელიც საკმაოდ მოქნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისათვის. ამ პროგრამაზე ჩარიცხვისას სტუდენტს აქვს პირადი ელფოსტა და პაროლი. სისტემის საშუალებით სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს სასწავლო კურსებს, იღებს ინფორმაციას კრედიტებისა და შეფასების შესახებ, სემესტრის ბოლოს ღებულობს მონაწილეობას ამა თუ იმ კურსის შეფასებაში, და რაც მთავარია სტუდენტი ამყარებს კომუნიკაციას აკადემიურ პერსონალთან. თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას კვლევით საქმიანობაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, აწვდის მათ ინფორმაციას მიმდინარე გაცვლითი პროგრამების შესახებ და სთავაზობს აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის მიღებას. აღსანიშნავია პროგრამაში სხვადასხვა კურსის ფარგლებში ჩაშენებული პრაქტიკა და უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული „ბავშვის განვითარების ინსტიტუტი", რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკაზე დამყარებული კვლევების ჩატარების შესაძლებლობას. ასევე ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ გაცვლით პროგრამებში სტუდენტები მონაწილეობას ვერ ღებულობენ გარკვეული პირადი მიზეზების გამო. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის მუშაობის გრაფიკი ითვალისწინებს სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებულ ინდივიდუალურ მუშაობასა და კომუნიკაციას „არგუსის", ტელეფონისა და ელ. ფოსტის გამოყენებით. დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაციაზე და მის პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სპეციალისტის მომზადება. უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ინკლუზიური განათლების სამმართველოსთან, საჯარო და სპეციალიზებულ სკოლებთან, რომლებიც ამ პროგრამის კურსდამთავრებულების უშუალო დამსაქმებლები არიან, გამომდინარე საგანმანათლებლო სისტემაში სპეციალური მასწავლებლის დეფიციტისა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლებელი სისტემატურად, ყოველდღიურად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით მეილით unijobs@iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✦ თვითშეფასების ანგარიში; ✦ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება. ✦ საგანმანათლებლო პროგრამა; ✦ კურსების სილაბუსები; ✦ პრაქტიკის დოკუმენტი;
✦ არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით წინასწარ ეგზავნება თემატიკის ჩამონათვალი, მაგრამ სტუდენტი შეზღუდული არ არის და მას შეუძლია სხვა მისთვის საინტერესო საკვლევი თემა აირჩიოს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი თავად ირჩევს ნაშრომის ხელმძღვანელს. პროგრამაში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. აკადემიური პერსონალი მაგისტრანტებთან ინდივიდუალურად მუშაობს როგორც ცალკეული საგნების შესწავლისას, ისე —სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკა (საკონსულტაციო საათები არ უნდა იყოს სემესტრში 15 საათზე ნაკლები) და კომუნიკაციის ფორმა საჭიროებიდან გამომდინარე არის სხვადასხვა (პირადი შეხვედრები, „არგუსი“ ელფოსტა, სატელეფონო კავშირი); მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელიც, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება, რაც დასტურდება თითოეული ლექტორის პირადი საქმით. სამაგისტრო პროგრამისა და ნაშრომის დოკუმენტის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების პროფესორი ან მოწვეული პირი, რომლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეესაბამება სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომისთვის შერჩეული საკვლევი საკითხის თემატიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✦ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრება; ✦ სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; ✦ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება	o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომელიც შედგება უნივერსიტეტის 6 თანამშრომელისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორები) და 15 მოწვეული სპეციალისტისგან. აკადემიური პერსონალი ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დაფუძნებულია უახლეს მეთოდოლოგიებზე. აკადემიურ პერსონალს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები, სახელმძღვანელოები.

სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობა დარეგულირებულია უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან უნივერსიტეტის დოქტორები, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოწვეული ლექტორი. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სტუდენტთა რაოდენობა დაბალანსებულია ორგანიზაციის შინაგანაწესით, და არ აღემატება წესით განსაზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას ყავს ადმინისტრაციული გუნდი შემდეგი შემადგენლობით: დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი, პრაქტიკის კოორდინატორი, სტუდენტების საქმის კოორდინატორი, საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი, რეგისტრაციის ოფისის ხელმძღვანელი. ადმინისტრაციული გუნდი უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ აკადემიურ და ტექნიკურ მუშაობას.

პროგრამას ხელმძღვანელობას უწევს ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თანახელმძღვანელთან ერთად, რომელიც არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოღვაწეობს მოწვეული პედაგოგის სტატუსით. პროგრამის ხელმძღვანელობას გააჩნია დარგის, როგორც თეორიული ცოდნა და პედაგოგიური გამოცდილება, ისე ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის პირადი საქმეები • გაფორმებული ხელშეკრულებები • საგანმანათლებლო პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ცვლილებების შეტანის პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია ღიაა უკუკავშირის მიმართ, რაც განაპირობებს დაინტერესებული მხარეების მაღალი ხარისხით თანამშრომლობას, რასაც თან სდევს პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობის გაუმჯობესება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად, რეგულარულად ტარდება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები, რაც ეფუძნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, თანამშრომლების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას. შეფასებისთვის შემუშავებულია კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები.

პროფესიულ განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები მოიცავს კვლევების წარმოების, კვლევების შეფასების, საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით პერსონალის ჩართულობის, კვლევითი კონსორციუმების ფორმირების, საპროექტო წინადადებების შემუშავების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური ნაწილის მხარდაჭერას; დანერგილია სწავლა-სწავლებასთან და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული პროფესიული გადამზადების მოდული, სადაც გამოყენებულია ისეთი რესურსი, როგორიც არის Erasmus + პროექტები (INEGRITY, ASSET, PRINTeL); ხელი ეწყობა უცხოელი მკვლევარებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი
- პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით
- საერთაშორისო პროექტების დეტალური აღწერა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მაქსიმალურად ხელმისაწვდომ საინფორმაციო რესურსებს, როგორიცაა მუდმივად განახლებადი წიგნთა ფონდი, სილაბუსით გათვალისწინებული საკითხავი მასალის ელექტრონული და ბეჭდური „რიდერები“, საერთაშორისო აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკები, აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები და ელექტრონული წიგნები. ბეჭდური და ელექტრონული რესურსის განახლება ხდება სხვადასხვა დარგში მიმდინარე სიახლეების, სასწავლო პროგრამის სილაბუსებისა და პროფესურის მომართვის საფუძველზე. უზრუნველყოფილია მომხმარებლის რესურსების განახლებისა და გამოყენების შესახებ ინფორმირება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის მოთავსების საშუალებით, ასევე ხელმისაწვდომია ტრენინგი „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების“ შესახებ“ და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ“. აგრეთვე დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ და სწავლების ელექტრონული პორტალი „მუდლი“, რაც ეხმარება აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და კომუნიკაციაში. უნივერსიტეტში გამოყოფილია საჭირო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები. აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცე. სტუდენტთა პრაქტიკის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს უნივერსიტეტში მოქმედი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები • ელექტრონული სამეცნიერო ბაზები • ტექსტური, ვიდეო-აუდიო საცავი • ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ • ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში გამოყოფილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი: სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები, ბიბლიოთეკასთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომა, პრაქტიკის ბაზები ბავშვის განვითარების ინსტიტუტისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახით (გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე). გამოყოფილია სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამისთვის ქვოტა საშუალოდ 10 – 18 სტუდენტი წელიწადში. პროგრამა გამოირჩევა მაღალი მოთხოვნით როგორც სტუდენტების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. უნივერსიტეტი მზადაა სუბსიდირება გაუწიოს პროგრამას, თუმცა ამის საჭიროება არ დგას. ხდება კვლევების სუბსიდირება განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს ყველა პროგრამას, მათ შორის სპეციალური განათლების პროგრამას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიუჯეტი • უნივერსიტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ ხორციელდება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იყენებს ამ სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს და შედეგების ანალიზს აწვდის პროგრამაზე მომუშავე პერსონალს. ამავდროულად, შექმნილია სტუდენტთა ფოკუს ჯგუფი, რომლებიც თანამშრომლობენ ადმინისტრაციასთან სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ გასაუმჯობესებლად. აღნიშნული დადასტურდა როგორც თვითშეფასების ჯგუფის, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის წერის პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათი მონაწილეობით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი. თვითშეფასების ანგარიშის პირველი ვერსია ითვალისწინებდა სასწავლო კომპონენტების თემატური ბლოკების ხელმძღვანელების მოსაზრებებსაც, ხოლო შემდგომ წარედგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ამ უკანასკნელის რეკომენდაციის საფუძველზე კი ჩამოყალიბდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია. ზემოაღნიშნული პროცედურები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ დოკუმენტს: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული წესით შემუშავებასა და განვითარებას უზრუნველყოფს და კოორდინაციას უწევს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოქმედი განათლების სკოლა.

თვითშეფასების ანგარიში გაზიარებული იყო განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფებთან Google Drive სისტემის გამოყენებით. ასევე, თვითშეფასების წერის, ისევე როგორც მთლიანად პროგრამის განვითარებაზე მუშაობის პროცესები, ეყრდნობოდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული კვლევების შედეგებს.

სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი კვლევისა და ფოკუსჯგუფების ანგარიშები; • ინტერვიუს შედეგები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
• განათლების სკოლის დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური განათლება“ თავდაპირველად აკრედიტირებულ იქნა 2013 წელს. მართალია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა არ ითვალისწინებდა რაიმე სახის რეკომენდაციას, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელები მაინც ახორციელებდნენ მის პერიოდულ შეფასებას და განახლებას. სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ განახლებისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დაეყრდნო არა მხოლოდ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებულ გამოკითხვებსა და შეფასების შედეგებს, არამედ გათვალისწინებულ იქნა შესაბამის დარგში ევროკავშირი საქართველოსთვის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები. ასევე, პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს პროგრამის პოტენციურ კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროგრამის რელევანტურობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის საბჭოს №142 10.15.2013 დადგენილება; • ევროკავშირი საქართველოსთვის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები;
• გარე შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „სპეციალური განათლება“ მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ზოგადი წესის შესაბამისად: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემურ კვლევებს/ შეფასებებს. აღნიშნული კვლევების/შეფასების მიზანია, დაადგინოს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილება საუნივერსიტეტო სერვისებისადმი, სტუდენტების დამოკიდებულება სწავლების პროცესთან და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის რეალური შესაძლებლობანი და ა.შ. სისტემური კვლევები ხორციელდება რეგულარულად დროის ჩარჩოს მიხედვით და მასში ჩართულნი არიან როგორც სტუდენტები, ასევე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. მაგალითად, სტუდენტების შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ პროგრამით კმაყოფილების კვლევა და კურსების/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ გამოყენებით, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვებას. გარდა სისტემური კვლევებისა, უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით მიზნობრივ კვლევებს.
პროგრამის შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი არიან დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამა ითვალისწინებს განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგების პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოყენების ნათელი მაგალითია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საჭიროების შესაბამისად, სტუდენტებისათვის მეტი პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სპეციალური განათლება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ირმა გრძელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერები

ლილი ხეჩუაშვილი

რუსუდან ბოჭორიშვილი

თამუნა იმნაძე